ლელო
№ 3 (10 172)
6 იანვარი, შაბათი, 1990 წ.
საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს რუსთაველის საზოგადოების და სახალხო ფრონტის პირველადი ორგანიზაციების, პროფკომიტეტისა და პარტორგანიზაციის

# მიმართვა

შიდა ქართლში კვლავ უკიდურესად დაიძაბა ვითარება.

გაზეთ „კომუნისტში" 5 იანვარს გამოქვეყნებული მასალებიდან ცნობილი გახდა ის შემზარავი ფაქტები, რაც ბოლო პერიოდში ხდებოდა სამხრეთ ოსეთში და რომლის კულმინაცია არის სოფელ ფრისში ჩადენილი გაუგონარი დანაშაული — ცეცხლმსროლელი იარაღით აკვანში მოკლეს 9 თვის ბავშვი. ეს გასროლა მთელი ქართველობის ცხელი ტყვიით გამასპინძლების ტოლფასია.

სიტუაციას უალრესად ამძიმებს საკავშირო პრესისა და ტელევიზიის ტენდენციურობა, რაც ქართველი ერის მიმართ ცილისწამებაში გადადის.

ვითვალისწინებთ რა შიდა ქართლში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის სასოწარკვეთილ მდგომარეობას, საჭიროდ მიგვაჩნია მოგმართოთ:

1. ბოლო მოელოს შიდა ქართლში მიმდინარე პროცესების ცალმხრივად და არაობიექტურად გაშუქებას, ითქვას სრული სიმართლე;

2. უმკაცრესად დაისაჯოს ყველა დამნაშავე (მიუხედავად თანამდებობისა და ეროვნებისა), რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ, მონაწილეობენ, ხელს უწყობდნენ და უწყობენ სიტუაციის გამწვავებას. ყოველივე ამას მიეცეს აგრეთვე მკაცრი პოლიტიკური შეფასება;

3. გაძევებული იქნან რესპუბლიკიდან ეროვნული შუღლის გამღვივებელი „ადამონ ნიხასის" ექსტრემისტი ლიდერები. ბოლო მოეღოს სამხრეთ ოსეთის პრესისა და რადიოს ცილისმწამებლურ საქმიანობას, ადგილობრივი საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა დანაშაულებრივ მოქმედებას;

4. დაუყოვნებლივ გაუქმდეს როკის გვირაბი და მკაცრი კონტროლი დაწესდეს საგზაო-საპატრულო მონაკვეთებზე იარაღის შემოტანის აღკვეთის მიზნით;

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილებმა სრული კონტროლი გაუწიონ შექმნილ ვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სიტუაცია უმართავი გახდეს, საბედისწერო შედეგებზე კი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს მთავრობასა და ადმინისტრაციულ ორგანოებს.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლება.

მიმართვა მიღებულია სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თანამშრომელთა საერთო კრებაზე 5 იანვარს.

**მ. ხიტირი,**
რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის მდივანი;
**ი. გოროდულინა,**
სახალხო ფრონტის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე;
**ტ. გელაშვილი,**
პროფკომიტეტის თავმჯდომარე;
**გ. დგვარელი,**
პარტბიუროს მდივანი.

## დამთავრდა შესვენება

**ძირითადი შემადგენლობა — 18 ს. 30 წ. – დუბლშემადგენლობა — 20 ს.**

**ხანმოკლე,** ორკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი, უფრო ზუსტად, მისი მესამე და მეოთხე წრე. 7 და 8 იანვარს ვერის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში თბილისის „დინამო" ალმა-ათის არმიელთა გუნდს უმასპინძლებს.

ტურნირის ერთი სიახლე გახლავთ ის, რომ მოედანზე ჯერ ძირითადი შემადგენლობანი გამოვლენ (თამაშები დაიწყება 18 ს. 30 წ.), მერე კი დუბლიორები (20 ს.) მიზანი ამ გადაადგილებისა გარკვეულია — ძირითად შემადგენლობის წევრებს, რომლებიც მოედანზე არ გამოვლენ, საშუალება ექნებათ დუბლიორთა რიგებში ითამაშონ. ძირითად გუნდში, როგორც ცნობილია, 12 კალათბურთელი გამოდის, მათ ემატებათ 5 კალათბურთელი დუბლებიდან. ასი კოლექტივის ამ ჩვიდმეტ წევრს ეძლევა ორთავე შეხვედრაში მონაწილეობის უფლება (ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოთამაშეთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს კიდეც).

თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობაში ბევრი პერსპექტიული კალათბურთელია თავმოყრილი. ამიტომ, დარწმუნებული ვართ, გუნდის შეხვედრები სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს გამოიწვევს. აქ უმთავრესად არიან „მართვეს", „ნორჩი დინამოელისა" და რუსთავის განათლების განყოფილების სისტემაში (მწვრთნელი ოთარ ხმელიძე) აღზრდილი სპორტსმენები.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ რუსთაველთა წვლილი, რომლებიც დუბლებში ხუთი კალათბურთელით იქნებიან წარმოდგენილი: მიხეილ ბერუაშვილი (სიმაღლე — 205 სმ), არჩილ მიქიაშვილი (202); ზაზა ჰეიშვილი (202), ირაკლი ჯაფარიძე (202), რამაზ გოგიბერიშვილი (192).

ძლიერი, პერსპექტიული კალათბურთელები მიავლინა დუბლებში „მართვემაც": რეზო ჩხეიძე (195), ზურაბ ჩუბინიძე (195), ლევან ბაქრაძე (193), ზეზვა ტოგონიძე (196), არჩილ ხელაშვილი (201), სერგო ქორქია (202). სოლიდურ ძალას წარმოადგენს „ნორჩ დინამოელში" აღზრდილ მოთამაშეთა ჯგუფიც: ლუი მახარაძე (202), ზაზა გვარამია (200), ნუგზარ კოკოლიშვილი (195) და სხვები. ერთი სიტყვით, კანდიდატი ბევრია — მთავარი ახლა მათი ყოველმხრივი გამოყენებაა.

თბილისის „დინამოს" დუბლებს გარკვეულ იმედებს ვუკავშირებთ. ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ მათ გამოსვლებს დაინტერესებული და მრავალრიცხოვანი აუდიტორია ეყოლება. ვიმეორებთ, დებიუტი შედგება 7 და 8 იანვარს 20 საათზე, თბილისის „დინამოსა" და ალმა-ათის არმიელთა ძირითადი შემადგენლობების მატჩების დამთავრებისთანავე.



**ლეილა მესხი და დავით კაჭარავა**

**შარშან** ქვეყნის ჩემპიონები ჩოგბურთში გახდნენ ლეილა მესხი და ანდრეი ჩერკასოვი, ზამთრის პირველობა კი ელენა ბრიუხოვეცმა და ანდრეი ჩესნოკოვმა მოიგეს. ამ შეჯიბრებებსა და წინა წელს გამართულ საერთაშორისო ტურნირების შედეგების მიხედვით ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციამ დაამტკიცა უძლიერესთა საკლასიფიკაციო სია, რომელშიც 114 ქალი და 147 ვაჟი მოხვდა.

გთავაზობთ უძლიერეს ჩოგბურთელთა პირველ ათეულებს (ფრჩხილებში ნაჩვენებია ძველი კლასიფიკაციის შედეგები).

**ქალები.** 1. (1). ნ. ზვერევა (მინსკი), 2. (2). ლ. სავჩენკო (ლვოვი), 3. (3). ლ. მესხი (თბილისი), 4. (5). ნ. მედვედიევა (კიევი), 5. (22). ე. ბრიუხოვეცი (ოდესა), 6. (9). ვ. მილვიდსკაია (მოსკოვი), 7. (21). ე. პოგრედოვა (მოსკოვი), 8. (7). ე. მანიუკოვა (მოსკოვი), 9. (13). ო. ივანოვა (ლენინგრადი), 10. (18). ლ. მიტროფანოვა (კიშინიოვი).

**ვაჟები.** 1. (1). ა. ჩესნოკოვი (მოსკოვი), 2. (2). ა. ვოლკოვი (კალინინგრადი), 3. (3). ა. ჩერკასოვი (უფა), 4.(4). ა. ოლხოვსკი (მოსკოვი), 5 (8). დ. პოლიაკოვი (ხარკოვი), 6. (33). ა. ფილიმონოვი (რიგა ),7. (9). გ. ძელდე (რიგა) 8. (5). ა. ვისანდი (ტალინი), 9. (11). ს. სკაკუნი (მინსკი), 10. (13). დ. კაჭარავა.

როგორც ამ სიიდან ჩანს ჩვენი ჩოგბურთის ლიდერები (ოთხეულები) მტკიცედ ინარჩუნებენ პოზიციებს და ამიტომ ნაკრების მთავარ ბირთვს შეადგენენ. ისე კი ათეულს ბევრი ადრინდელი მონაწილე გამოაკლდა. მათ შორის ნ. ბიკოვა, ს. პარხომენკო, ა. ზვერევი, ი. კროჩკო, ვ. გაბრიჩიძე და სხვ.

## საჩუქრად 10 ათასი ერთჯერადი გამოყენების შპრიცი

**„ლელოს"** მკითხველებმა იციან, რომ ესპანეთში მოჭადრაკეთა ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად მუშაობს ჩვენი თანამემამულე დიდოსტატი თამაზ გიორგაძე.

ახალი წლის დღეებში თამაზი თბილისში ჩამოვიდა. ესპანეთიდან მან ჩამოიტანა პირადი სახსრებით შეძენილი ერთჯერადი გამოყენების 10 ათასი შპრიცი, რომელიც საჩუქრად გადასცა ბავშვთა რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს.

ეს მისასალმებელი საქველმოქმედო აქცია, ვიმედოვნებთ, საზღვარგარეთ მომუშავე სხვა ქართველი სპეციალისტებისთვის მისაბაძი მაგალითი გახდება.

## ბაკურიანელები — სიგულდის ტრასის ლაურეატები

**ახალი** წლის საკავშირო თასის გათამაშების პირველი ეტაპი გაიმართა საციგაო სპორტში ლატვიის ქალაქ სიგულდაში. 22 ეკიპაჟს შორის საუკეთესოდ გამოვიდნენ საქართველოს წარგზავნილები — ბაკურიანელი სპორტის ოსტატები **ლევან თიბილოვი და კახა ვახტანგიშვილი**, რომლებმაც 1.29,103 აჩვენეს და პირველობა მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდა მოსკოველთა წყვილი — იგორ ლობანოვი და გენადი ბელიაკოვი (1.29,194), მესამეზე — პერმელთა „დუეტი" — ალბერტ დემჩენკო და ალექსანდრ ზელენსკი (1.29,638).

თასის გათამაშების მეორე ეტაპი აგრეთვე სიგულდაში გაიმართება (7-11 თებერვალი).

?!

## ვგეგმავთ და ვგეგმავთ...

## ძველებური სტილით

**რა** დასამალია, მწარე გამოცდილების გამოისობით, დაეჭვებულებმა მივაშურეთ თბილისის საშუალო სკოლებს. ეს ეჭვი უსაფუძვლო არ გახლდათ: ვინ მოთვლის, რამდენჯერ მიგვიღია, ერთი შეხედვით, წყალი რომ არ გაუვა, ისეთი სოლიდურ-სერიოზული საბუთი — გავისარჯეთ, აქ და აქ ასეთ და ასეთ სპორტულ ღონისძიებას (ებს) ვატარებთ და აბა, ახლა თქვენ იცით, არ დაგვალალატოთ, გაზეთის ფურცლებზე გააშუქეთო. ჩვენც, რა თქმა უნდა, გაგვხარებია, ოღონდ კი ალალად და გულიანად გაისარჯოს ვინმე და გაზეთში ადგილს რას დავინანებთო — გვიფიქრია, გაზეთში წინასწარ ადგილიც დაგვიბევებია და ისე გავქცეულვართ მითითებულ მისამართზე, მაგრამ... რას ეძებ. რა დაგკარგვია?!

ახალი წლის წინ თბილისის სპორტკომიტეტმა წერილი გამოგვიგზავნა (სტილი დაცულია). „გიდგენთ ჩვენსა და ქალაქის განათლების სამმართველოს ერთობლივ გეგმა-გრაფიკს მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩასატარებელი ღონისძიებებისა. გთხოვთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე გააშუქოთ შეჯიბრების მიმდინარეობა". წერილთან ერთად მივიღეთ თერთმეტფურცლიანი დანართი, სადაც მითითებული იყო სპორტის სახეობები, ამ სახეობებში ჩასატარებელი შეჯიბრებების ადგილი, დრო და პასუხისმგებელი ღონისძიებაზე.

„ლელოს" კორესპონდენტებმა არ დაიზარეს, ხუთშაბათი, 4 იანვარი, ჩვენი გაზეთისთვის უქმე დღე გადადეს, თბილისის სკოლებს მიაშურეს და... ნაცვლად საგაზეთო წერილისა ასეთი ახსნა-განმარტებითი ბარათები გვაახლეს:

**ინგა ჩახვაშვილი** — **„ვიყავი თბილისის 26 კომისრის რაიონის რამდენიმე სკოლაში. თავიდანვე ვიტყვი, რომ ყველგან თითქმის ერთი და იგივე სიტუაცია დამხვდა. 85-ე საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელი ვლადიმერ ბეჟანოვი უიმედოდ ელოდა ბავშვებს. ასეთივე მდგომარეობა იყო 98-ე საშუალო სკოლაში. 87-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ანზორ მეტრეველი ბავშვების ლოდინით დაღლილიყო და ჩემს მისვლამდე რამდენიმე წუთით ადრე (11.45 სთ) წასულიყო. 111-ე საშუალო სკოლაში მასწავლებელი საერთოდ არ ყოფილა. ის იყო კალამი უნდა „ამელესა", რომ მივადექი 26 კომისრის რაიონის სპორტსკოლას, სადაც პატარა იმედი გამიკრთა და აქვე ვნახე 111-ე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გივი მალალაშვილი, რომელიც ჭადრაკში მოზარდთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობდა. მას ძალიანაც რომ მოენდომებინა, თავის სკოლაში ვერ იქნებოდა. რაიონის სპორტსკოლაში იმედი მომეცა-მეთქი, აღვნიშნე, თუმცა ვერაფერი გასახარი იყო ათიოდე მოჭადრაკის და ამდენივე ბადმინტონისტის ნახვა დარბაზში."**

**ალექსანდრე კოტორაშვილი** — **„4 იანვარს მოვინახულე რამდენიმე სკოლა სპორტული ღონისძიებების გადასახლებად. ვიყავი დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე № მე-18 საშუალო სკოლაში, სადაც მხოლოდ ორი დარაჯი და გამოკეტილი სპორტული დარბაზი დამხვდა. იგივე ვნახე № 27-ე საშუალო სკოლაშიც — დარაჯი ქალის მეტი იქაც არავინ იყო. მე-100 საშუალო სკოლაში (ფიზკულტურის მასწავლებელი სოსო თანანაშვილი) კი განცხადება გამოეკრათ. შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მაგიდის ჩოგბურთელებს, მაგრამ მასწავლებლისა და სამ მოსწავლის გარდა არავინ იყო."**

ორი კორესპონდენტი უფრო „იღბლიანი" გამოდგა.

**თამუნა ჯიშკარიანი:** **თბილისის 147-ე სკოლაში ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა შეხვედრა. 140-ე სკოლაში კალათბურთსა და შაშში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ VI-IX კლასის მოსწავლეები. 169-ე სკოლაში მაგიდის ჩოგბურთელები 156-ე სკოლის გუნდთან ამხანაგური სამატჩო შეხვედრისათვის ემზადებოდნენ, VI-VII კლასის მოსწავლეები კი კალათბურთში ვარჯიშობდნენ".**

**გია ბურდული** — **„ქიქინაძის ქუჩა ქალაქის განაპირას მდებარეობს, იქ მცხოვრებ მოსწავლე-ახალგაზრდობას, ისე როგორც თბილისის ბევრ უბანში, არა აქვს დასვენებისა და გართობის პირობები, ახლო-მახლო კინოთეატრიც კი არ არის. სამაგიეროდ, სპორტული მოედნები საკმაოდ აქვთ. ძირითადი დატვირთვა სასკოლო ბაზებს აწევთ, კერძოდ, 94-ე და 131-ე სკოლების მოედნებს, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად მდებარეობენ. სწორედ 94-ე სკოლაში მიმდინარეობდა ერთ-ერთი სპორტული ღონისძიება, რომელიც არდადეგების პერიოდისათვის დაგეგმეს. ბავშვები კალათბურთს თამაშობდნენ. ოღონდ ეგაა, მოედანზე სულ ოცდაათიოდე ბავშვი ვნახეთ, ისიც სპორტული სექციის წევრები. ეს მთელი სკოლისთვის, რაღა თქმა უნდა ძალზე ცოტაა".**

დაგვეთანხმებით, მძიმე თუ არა, ბუნდოვანი სურათია. ამიტომ იყო, რომ გუშინ რედაქციაში კიდევ ერთხელ ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და საბოლოოდ ჩამოვაყალიბეთ სამი კითხვა, რომლებითაც ამ და ასეთი ღონისძიებების ორგანიზატორებს მივმართავთ:

1. ვის ვატყუებთ, საკუთარ თავს?
2. რასაც დავგეგმავთ, ხომ უნდა ჩავატაროთ?
3. ის არა სჯობს დავგეგმოთ, რასაც გავწვდებით?

და კიდევ: გუშინვე დავუკავშირდით თბილისის სპორტკომიტეტს. გვაინტერესებდა, თუ იცოდნენ რა მდგომარეობაა „სპორტულ არდადეგებზე". თურმე დღემდე სპორტკომიტეტის არც ერთი თანამშრომელი არ დაინტერესებულა ამ საკითხით.

რა თქმა უნდა, უფრო ადვილია კაბინეტში ღონისძიებები დაგეგმო, მერე ამ ღონისძიებების 11 გვერდს რედაქციისადმი თხოვნის წერილი დაურთო — ამას და ამას ვაპირებთ, მთელს ქალაქში დიდი სპორტული ზეიმი იქნება და ქვეყანამ გაიგოსო.

მართლაც, როდემდე ვიტყუოთ თავი?

# ხელმძღვანელის ღვაწლი

### გახსენება

**ხალხს** უთქვამს, მეთაურობა ყველამ რომ იცოდეს, ყველა მეთაური იქნებოდაო.

მართლაც, არც თუ ისე იშვიათად გაიგონებთ, ამა თუ იმ ორგანიზაციაში საათივით აწყობილი საქმე შემცვლელმა ახალმა ხელმძღვანელმა ისე მოშალა, ყველაფერი კრახის პირას მიიყვანაო, ან პირიქით.

ხელმძღვანელის ცოდნაზე, მის უნარზე და მონდომებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ის, რომ 1954-დან მთელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს სპორტსმენთა მიღწევები ქუხდა, ეს რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მაშინდელი თავკაცის დიდი დამსახურებაც იყო. მარტო ის რად ღირს, რომ საკავშირო სპარტაკიადების კომპლექსურ ჩათვლაში საქართველოს ათლეტები ჩვენზე გაცილებით დიდი და მეტი შესაძლებლობების რესპუბლიკებს უკან იტოვებდნენ და V ადგილს იკავებდნენ.

ჩვენი სპორტკომიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელს გიორგი სიხარულიძეს უმაღლესი ფიზკულტურული განათლება არ ჰქონდა, მაგრამ გააჩნდა ხელმძღვანელობის ჩინებული უნარი, ალღო და მინდობილი საქმისადმი ერთგულება.

სიხარულიძეს ახსოვდა ბრძენი ხალხის ნათქვამი, სოფლის მეთაურობა ადვილი სათქმელია და ძნელი მოსაგვარებელიო. ამიტომაც იყო, რომ როცა საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა ანდეს, უწინარეს ყოვლისა, შეჯიბრებათა ჩატარებისა და მსაჯობის წესების გაცნობა მოითხოვა. მახსოვს, მაშინ „დავამშვიდე“, თქვენ უფრო დიდი საქმე გაკისრიათ და ამ წვრილმანებზე თავს ნუ შეიწუხებთ, ამ საქმეს სხვებიც მიხედავენ-მეთქი. ჩემმა ნათქვამმა გააოცა და მითხრა, აბა, თუ სპორტის ყველა სახეობას ძირფესვიანად არ გავეცანი, ისე საქმეს სწორ გზაზე როგორ დავაყენებ და როგორ ვუხელმძღვანელებო.

გიორგი სიხარულიძემ სპორტის ბევრი სახეობა ისე შეისწავლა, რომ ზოგიერთ სპეციალისტსაც კი უჭირდა მასთან კამათი. კომიტეტის ახალი თავმჯდომარე უმალ მიხვდა, რომ, სპორტში უმაღლესი მწვერვალების დასალაშქრავად, საქართველოს ბაზების მხრივ ძალზე უჭირდა. იგი დასცქეროდა საქართველოს რუკას და ოცნებაში სპორტულ ბაზებს აშენებდა. მერე ოცნება რეალობად აქცია. მისი უშუალო მონდომებით საქართველოში თითქმის არ დარჩენილა ქალაქი თუ რაიონი, სადაც დიდი ან მცირე სპორტული ბაზა არ აგებულიყო. ასე გაჩნდა სტადიონები ქუთაისსა და გორში, საცურაო აუზები თბილისში, ჭიათურაში, ტყიბულში და თელავში, საჭიდაო დარბაზები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ასე გაჩნდა თბილისის სპორტის სასახლე, ჭადრაკის სასახლე, ველოტრეკი... აშენების შემდეგ მათი ინვენტარით აღჭურვაზეც იზრუნა.

თითქმის ყველა ამ მშენებლობას თავადვე აკონტროლებდა და ხარისხისათვისაც შეურიგებლად იბრძოდა. მახსოვს, სპორტის სასახლეში დაგებული იატაკი არ მოეწონა და უმალ ააყრევინა.

როცა მშენებლობას ათვალიერებდა და მშენებლებს ესაუბრებოდა, აქ მართლაც ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში — გიორგი სიარულიძე ხომ ინჟინერი იყო და ამ სფეროში მიღებულ განათლებას ჩინებულადაც იყენებდა.

გიორგი სიხარულიძემ ისიც კარგად უწყოდა, რომ მხოლოდ სპორტული ბაზების მომრავლებით ფონს გასვლა გაჭირდებოდა. საჭირო იყო სპეციალისტებზე ზრუნვაც, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ამიტომაც მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოკლევადიანი სემინარებისთვისაც ნიადაგ ზრუნავდა. საამისოდ სხვა რესპუბლიკებიდან ყოველწლიურად წამყვან სპეციალისტებს იწვევდა.

თავმჯდომარემ კარგად იცოდა, რომ ნერგი კარგად ვერ გაიხარებდა, თუ მას ნოყიერი ნიადაგი არ ექნებოდა. ამიტომაც მისი ინიციატივით დაარსდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, რომლებსაც ჩვენი სახელოვანი ათლეტების სახელები ეწოდა. ესენია: ნინო დუმბაძის (მძლეოსნობა), მიხეილ მესხის (ფეხბურთი), ოთარ კორქიას (კალათბურთი), ნუგზარ ასათიანის (ფარიკაობა) და სხვათა სახელობის სპორტსკოლები, სადაც არაერთი კარგი სპორტსმენი აღიზარდა.

როცა ჩვენი ნაკრები გუნდები ამა თუ იმ დიდი შეჯიბრებისთვის ემზადებოდნენ, სიხარულიძე შეკრებებზე ხშირად ჩადიოდა და პირადად ინტერესდებოდა ათლეტთა ყოფა-ცხოვრების პირობებით.

გიორგი სიხარულიძე საკუთარი თავის მიმართ ძალზე მომთხოვნი იყო და სხვებისგანაც ამას ითხოვდა.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობით სავსე იყო, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ წინმავალი კაცისთვის გზა იავარდით მოფენილი არასოდეს ყოფილა. ამიტომაც ყველა წინააღმდეგობას მომზადებული ხვდებოდა და შეუპოვრად მიიწევდა წინ.

ამიტომაა, რომ ყველა, ვისთანაც გიორგი სიხარულიძე მუშაობდა, პატივით იხსენიებს მას.

**შოთა ახვლედიანი.**

# უფრო დაწვრილებით

**უკვე** ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ ამერიკაში გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს სუპერთასის გათამაშება. ახლა შესაძლებლობა მოგვეცა უფრო დაწვრილებით გაგაცნოთ ამ ტურნირის შედეგები.

ასპარეზობაში საბჭოთა კავშირმა სულ შვიდი მოჭიდავე გამოიყვანა. საპატიო ჯილდო მოიპოვა სამმა მათგანმა — მახაჩყალელმა მსოფლიო ჩემპიონმა ელმადი ჟაბრაილოვმა, ტაშკენტელმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მახარბეკ ხადარცევმა და არსენ ფაძაევმა. მათ გამარჯვებისთვის საკმაოდ სოლიდური ფულადი პრემია გადაეცათ.

სამმა საბჭოთა მოჭიდავემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სერგეი ბელოგლაზოვი ამერიკელ ჯონ სმითთან დამარცხდა, ახმედ ატოვოვი — ბილ შერთან (აშშ), დავით გობეჯიშვილმა კი უმნიშვნელო სხვაობით დათმო ორთაბრძოლა ბრიუს ბაუმჰარტნერთან (აშშ).

გამარჯვება მოიპოვეს, აგრეთვე, ბულგარელმა ვალენტინ იორდანოვმა, ამერიკელებმა კერი მონდეილმა და დეივ შულცმა.

შემდეგ ფლორიდას შტატის ერთ-ერთ ქალაქში გაიმართა აშშ-სა და საბჭოთა მოჭიდავეების ამხანაგური შეხვედრა, რომელიც მოიგეს სტუმრებმა — 8:2.

# ყველაზე უკეთესი

### საქართველოს მძლეოსანთა პირველი რეიტინგი

**შრომის** შედეგების, მიღწეული წარმატებების დაუფასებლობა ბევრ სპეციალისტსა და სპორტსმენს უტეხს გულს და ზოგს ნაადრევად ხელსაც კი აღებინებს ხოლმე საყვარელ საქმეზე. განსაკუთრებით ზამთრის დამდეგს იძაბება ვითარება, როცა „წიწილები უკვე დათვლილია“ და სპორტის ამა თუ იმ სახეობაში გაწეული მუშაობის შეფასება, აგრეთვე საუკეთესო სპორტსმენთა გამოვლენა ხდება.

ჩვენ ადრე უკვე ვწერდით, რომ მძლეოსნობაში მოპოვებულ შედეგებსა და სხვადასხვა სახის წახალისებებს, აგრეთვე ჯილდოების განაწილებაში საგრძნობი დისონანსი იყო, უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ, ზოგი იმას იღებდა, რაც არ ეკუთვნოდა, სამაგიეროდ უფრო გამრჯე მუშაკი რჩებოდა პირში ჩალაგამოვლებული. მუშაობის შეფასება რაიმე სისტემაზე კი არა, წმინდა სუბიექტურ მოსაზრებებზე იყო დამოკიდებული და უსამართლობაც ამიტომ ხდებოდა.

ახლა მძლეოსნობის ექსპერიმენტულ სასწავლო-მეთოდურ გაერთიანებაში სცადეს ქულათა ისეთი სისტემის შექმნა, ე. ი. თავისებური რეიტინგის დაწესება, რომლის საშუალებითაც იოლად გამოავლენდნენ წლის საუკეთესო სპორტსმენებსა და მწვრთნელებს. აღნიშნულ მეთოდზე იმსჯელა მძლეოსნობის მწვრთნელთა საბჭომ და დაამტკიცა იგი. სისტემა, ცხადია, შემდგომში უფრო დაიხვეწება, რაც უნდა იყოს, ეს ხომ პირველი ცდაა, თუმცა უკვე შეიძლება ითქვას, რომ იგი საკმაოდ გონივრული ჩანს. დღეს მას გაგაცნობთ და მკითხველებმა, განსაკუთრებით კი მძლეოსნობის მოყვარულებმა, თავად შეაფასონ მისი ავ-კარგი.

თავდაპირველად შემოგთავაზებთ ცხრილს, რომელშიც მოცემულია ქულათა დარიცხვის სისტემა.

| შეჯიბრების დასახელება | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველოს ჩემპიონატი. ამიერკავკასიისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მატჩი | 100 | 60 | 40 | — | — | — | — | — |
| 2. გაზეთ „პრავდის“ სახელობის თასის გათამაშება, სსრკ თასის გათამაშების ნახევარფინალი | 200 | 120 | 80 | 50 | 40 | 30 | 20 | 10 |
| 3. ძმები ზნამენსკების მემორიალი; სსრკ თასი; ახალგაზრდული თამაშები; ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი. | 400 | 240 | 160 | 100 | 80 | 60 | 40 | 20 |
| 4. სსრკ ჩემპიონატი; სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა; იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. | 800 | 480 | 320 | 200 | 160 | 120 | 80 | 40 |
| 5. ოლიმპიური თამაშები; მსოფლიო ჩემპიონატი | 2000 | 1200 | 800 | 500 | 400 | 300 | 200 | 100 |
| ევროპის ჩემპიონატი; მსოფლიო თასი | 1600 | 960 | 640 | 400 | 320 | 240 | 160 | 80 |
| კეთილი ნების თამაშები; ევროპის თასი | 1200 | 720 | 480 | 300 | 240 | 180 | 120 | 60 |

ამ ცხრილს ახლავს შენიშვნები:

1. საქართველოს ჩემპიონატში, აგრეთვე ამიერკავკასიისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მატჩში სპორტსმენს ქულები არ დაერიცხება, თუ სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივზე დაბალი შედეგი აჩვენა;
2. მეხუთე პუნქტში შეტანილ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის (ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში) მძლეოსანს დაერიცხება 400 ქულა;
3. სპორტის ოსტატის ნორმატივის პირველად შესრულებისთვის დაწესებულია 100 ქულა, საერთაშორისო კლასის ოსტატის ნორმატივის შესრულებისთვის — 300 ქულა;
4. თუკი სპორტსმენები ზემოთ აღნიშნულ შეჯიბრებებში კვლავ შეასრულებენ ამ ნორმატივებს, სპორტის ოსტატებს თითოეულ შემთხვევაში დაერიცხებათ 50 ქულა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს — 150 ქულა;
5. მსოფლიო რეკორდის დამყარებისთვის დაწესებულია 1600 ქულა, ევროპის რეკორდისთვის — 1300, სსრ კავშირის რეკორდისთვის — 1000, საქართველოს რეკორდისთვის — 200 ქულა.
6. რეკორდის გამეორებისთვის დაწესებულია აღნიშნული ქულების ნახევარი.
7. დასახელებულ შეჯიბრებებში უკანასკნელ ადგილზე დარჩენილ სპორტსმენს ქულები არ დაერიცხება.
8. ზამთრის ანალოგიურ შეჯიბრებებში (რომელიც ჩატარდება იანვრიდან 15 მარტამდე) მიღწეული წარმატებებისთვის დაწესებულია აღნიშნულ ქულათა ნახევარი.

ახლა კი გაგაცნობთ საქართველოს საუკეთესო მძლეოსნებს 1989 წლის სპორტულ სეზონში ახალი რეიტინგის მიხედვით. წინასწარ ვიტყვით, რომ მთელ საქართველოში შეფასებები (ქულები) მიიღო მხოლოდ 30 სპორტსმენმა. ვფიქრობთ, ეს ფაქტი საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს ჩვენს მძლეოსნობაში შექმნილ მდგომარეობას.

### რეიტინგი

1. ო. სტრიჟაკოვი („დინამო“) — 1370
2. ტ. ბიწაძე („დინამო“) — 980
3. ი. შავერდაშვილი (ახკ) — 820
4. გ. ვეშაპიძე („შევარდენი“) — 770
5. ი. ივანოვი („დინამო“) — 745
6. ს. დევიატკინი („დინამო“) — 400
7. ტ. შანიძე („შევარდენი“) — 320
8. ე. ურუსოვა („შევარდენი“) — 230
9. ა. ტალიკიშვილი („შევარდენი“) — 220
10. ი. ზაბროსკოვი („დინამო“) — 215
11-12. ზ. ყიფიანი („დინამო“) — 200
ნ. ონაშვილი („დინამო“) — 200
13. ა. მინაკოვი („შევარდენი“) — 190
14. ვ. ბარდინი (ახკ) — 180
15. დ. ჯარაშნელი (ახკ) — 160
16. მ. გიგუაშვილი („შევარდენი“) — 130
17. ბ. ლომინაძე („შევარდენი“) — 120
18. ა. მატიაშვილი („მართვე“) — 110
19-21. ვ. ქუძიევი (ახკ) — 100
მ. მალისოვი (ახკ) — 100
დ. ხუბაშვილი („შევარდენი“) — 100
22-25. ა. ტოროსიანი („შევარდენი“) — 60
მ. ხიდეშელი („შევარდენი) — 60
ო. ხოხლოვი („შევარდენი“) — 60
ა. მახარაძე (ახკ) — 60
26. მ. კიკვაძე („შევარდენი“) — 50
27-30. დ. ანტონოვი („დინამო“) — 40
ვ. ვასილიევი („შევარდენი“) — 40
მ. ყურაშვილი („დინამო“) — 40
ლ. ჩიტაიშვილი („შევარდენი“) — 40

არც მწვრთნელთა რეიტინგია მაინცდამაინც გრძელი — სიაში სულ 22 სპეციალისტი მოხვდა. არ დაგავიწყდეთ, საქართველოში მძლეოსნობის ოთხასზე მეტი სპეციალისტი მუშაობს.

1. ო. ოდიშვილი — 1080
2. ტ. ჰედია — 980
3. ე. საპრონოვი — 880
4. ა. ანდრეევი — 745
5. ს. ძურძუკი — 615
6. ა. ბერიძე — 320
7. გ. ჩადუნელი — 280
8. ვ. შმაკოვი — 230
9. გ. ზრაჟევსკაია — 220
10-11. მ. ტულუში — 200
გ. გოზალიშვილი — 200
12. გ. სავჩენკო — 190
13. ი. გიგაური — 130
14. მ. შჩეგოლევა — 120
15. რ. კობიაშვილი — 110
16-18. ნ. ორფანოვი — 100
ი. დულიანი — 100
დ. მელაძე — 100
19. ა. ალექსეევი — 80
20. ა. ბედუკაძე — 50
21-22. ა. ანტონოვი — 40
უ. საბანაშვილი — 40

ამ სპეციალისტთაგან ორის გარდა ყველა თბილისელია: თ. ჰედია სოხუმელია, ა. ალექსეევი — ქუთაისელი.

საინტერესოა მძლეოსნობაში უძლიერესი რეგიონების რეიტინგიც.

1. თბილისი — 4940
2. გარდაბანი — 1040
3. სოხუმი — 980
4. საგარეჯო — 880
5. ოზურგეთი — 170
6. ქუთაისი — 60
7. წყალტუბო — 40

სპორტსაზოგადოებათა მიღწევების შედარებისას, საკმაოდ მოულოდნელად, „დინამოს“ უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა, ვიდრე პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შევარდენს“, სადაც გაცილებით მეტი მძლეოსანი ვარჯიშობს.

1. „დინამო“ — 4190
2. „შევარდენი“ — 3020
3. ახკ — 790
4. „მართვე“ — 110

სპორტსაზოგადოებებს შორის მძლეოსანთა „გაყოფისთვის“ ტრადიციული დავის აღსაკვეთად შემუშავებულია ახალი დებულება. თუ მძლეოსანი სხვა სპორტსაზოგადოებაში გადავიდა, ერთი წლის განმავლობაში, მისი შედეგები პირველ ორგანიზაციასაც ეთვლება. ამასთან, თუ ამ ხნის მანძილზე სპორტსმენმა კვალიფიკაცია ვერ აიმაღლა (სპორტის ოსტატის დონემდე), მისი შედეგები ახალი სპორტსაზოგადოების რეიტინგში არ შევა.

რაიონებისთვის ახალი წესი ალბათ მეტად ხელსაყრელი იქნება: ნებისმიერი მძლეოსნის შედეგი რეიტინგის შედგენისას ჩაეთვლება მისივე რაიონის გუნდს, თუნდაც ეს სპორტსმენი უკვე გარკვეული ხნის მანძილზე სხვაგან, ვთქვათ, თბილისში ვარჯიშობდეს და ჩაწერილიც აქ იყოს. მაგალითად, რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფ გარდაბნის რაიონის გუნდს, ყველა ქულა შესძინეს მწვრთნელ ომარ ოდიშვილის მოწაფეებმა, რომლებიც თბილისში, კერძოდ, აეროპორტის მახლობლად მდებარე სრულიად მოუწყობელ ბაზაზე ვარჯიშობენ.

# ჩემპიონები ნორჩებში

**თბილისის** ჩოგბურთის სასახლისა და „დინამოს“ კორტებზე გაიმართა ქალაქის ზამთრის პირველობა — 1974 წელსა და უფრო გვიან დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

გოგონებში გაიმარჯვა 144-ე სკოლის მოსწავლემ ანა გასპარიანმა („დინამო“), მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ შესაბამისად თამრიკო ბერიძე და მაკა წიწუაშვილი (ორივე — „შრომითი რეზერვები“).

საინტერესო გამოდგა ჭაბუკთა ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ 183-ე სკოლის მოსწავლე, დინამოელი დათო გოგილაშვილი და საკავშირო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული გიორგი ტყემალაძე. მიუხედავად იმისა, რომ დათო ორი წლით უმცროსია მეტოქეზე, მან შედარებით ადვილად მოიპოვა გამარჯვება (6:4, 6:1) და პირველად გახდა ქალაქის ჩემპიონი. მესამე ადგილზე გავიდა ირაკლი რუხაძე („შრომითი რეზერვები“).

# საუკეთესო ათეული

**საქართველოს** ჩოგბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი რესპუბლიკის ათი საუკეთესო მსაჯის სია 1989 წლის შედეგების მიხედვით. მასში შევიდნენ საკავშირო კატეგორიის არბიტრები გ. ლარიბაშვილი, ი. გიგილაშვილი, მ. ქობალია, დ. კერესელიძე, ა. მალაიანცი, ტ. ჩიმერინა, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრები ვ. ასათიანი, გ. საბაშვილი, ნ. ელერდაშვილი და პირველი კატეგორიის მსაჯი ნ. იმნაძე.

# 33 რჩეული

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ ტრადიციისამებრ დაასახელა 1989 წლის სეზონის 33 საუკეთესო ფეხბურთელი:

**მეკარეები:** 1. ს. ჩერჩესოვი („სპარტაკი"), 2. დ. ხარინი („დინამო", მ.), 3. ვ. ჩანოვი („დინამო" კ.).

**დაცვა:** მარჯვენა მცველები — 1. ვ. ბესონოვი („დინამო", კ.), 2. გ. კეტაშვილი („დინამო" თბ.), 3. ო. ლუჟნი („დინამო" კ.), მარჯვენა ცენტრალური მცველები — 1. ა. ბალი („დინამო", კ.), 2. ა. სიდელნიკოვი („დნეპრი"), 3. ა. ცვეიბა („დინამო", თბ.); მარცხენა ცენტრალური მცველები —1. ო. კუზნეცოვი („დინამო", კ.), 2. ა. ზიგმანტოვიჩი („დინამო", მნ.); 3. გ. მოროზოვი („სპარტაკი"); მარცხენა მცველები — 1. ს. გორლუკოვიჩი („ლოკომოტივი"), 2. ს. შმატოვალენკო („დინამო", კ), 3. ვ. კულკოვი („სპარტაკი").

**ნახევარდაცვა:** საყრდენი ნახევარმცველები — 1. ა. მიხაილიჩენკო („დინამო", კ.), 2. ვ. ბაგმუტი („დნეპრი"), 3. ვ. ტიშჩენკო („დნეპრი"); მარჯვენა ნახევარმცველები —1. გ. ლიტოვჩენკო („დინამო", კ.), 2. ვ. კუზნეცოვი („სპარტაკი"), 3. ვ. ივანაუსკასი („ჟალგირისი"); ცენტრალური ნახევარმცველები — 1. ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი"), 2. ვ. ტატარჩუკი (ცსკა), 3. ი. შალიმოვი („სპარტაკი"); მარცხენა ნახევარმცველები — 1. ი. დობროვოლსკი („დინამო", მ.). 2. ი. იარემჩუკი („დინამო", კ.), 3. ნ. კუდრიცკი („დნეპრი").

**თავდასხმა:** მარჯვენა თავდამსხმელები — 1. ო. პროტასოვი („დინამო", კ.), 2. ვ. შმაროვი („სპარტაკი"), 3. ს. კირიაკოვი („დინამო", მ.); მარცხენა თავდამსხმელები — ს. როდიონოვი („სპარტაკი"), 2. ი. კოლივანოვი („დინამო", მ.), 3. ვ. ლიუტი („დნეპრი").

# ა. გრინინის სახელობისა

**მოსკოვში** დაიწყო არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ფეხბურთელთა ლეგენდარული გუნდის კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ალექსეი გრინინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ახალგაზრდული საფეხბურთო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობს ცსკა-ს 2 გუნდი, აგრეთვე, რსფსრ-ის, უკრაინისა და საქართველოს კოლექტივები.

გათამაშების პირველ ტურში სოხუმის დინამოელებმა ფრედ ითამაშეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან" — 2:2. ასევე ფრედ დამთავრდა **თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლისა** და ცსკა-ს მატჩი — 0:0.

ტურნირი მიმდინარეობს არმიელთა საფეხბურთო-მძლეოსნურ დახურულ კომპლექსში.

# ოსტატები შეუდგნენ წვრთნას

**ზამთრის** არდადეგების შემდეგ წინასასეზონო ვარჯიშს შეუდგნენ საქართველოს ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივები.

უკვე მეცადინეობენ უმაღლესი კლასის გუნდები — თბილისის „დინამო" და ლანჩხუთის „გურია" [illegible]რევე, I ლიგის კოლექტივი ქუთაისის „ტორპედო".

უახლოეს ხანებში წვრთნას შეუდგებიან ბათუმისა და სოხუმის დინამოელები.

# „შერემეტიევოში"... გაქურდეს

**სსრ კავშირის** ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები (ასაკი — 18 წლამდე) ისრაელში იმყოფებოდა ამხანაგურ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. წინასწარ, ჯგუფურ შეჯიბრებებში საბჭოთა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ისლანდიის (1:0), კვიპროსის (4:0), შვეიცარიის (3:1), გუნდები, ფრედ ითამაშეს პორტუგალიელებთან (1:1), პოლონელებთან (0:0) და ფინალში შეხვდნენ პარალელურ ჯგუფში გამარჯვებულ შვეციის გუნდს. ეს შეხვედრაც საბჭოთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

როგორც „სოვეტსკი სპორტი" იუწყება, საბჭოთა ჭაბუკ ფეხბურთელებს მოსკოვის „შერემეტიევოს" აეროპორტში ერთიანად მოჰპარეს საფეხბურთო ფორმა და ისრაელის ფეხბურთის ფედერაცია. იძულებული შეიქნა ეზრუნა მათი სათანადო ეკიპირებისთვის. გაზეთი სამართლიანად სვამს საკითხს: როგორ ხდება, რომ საბაჟოში, სადაც თითქოს, თაგვიც კი ვერ გაძვრება, შესაძლებელია მთელი სპორტული დელეგაციისთვის ფორმის მოპარვა?!

## ფეხბურთის ახალი ამბები

### ავილანჟის განცხადება

ვენაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო ავილანჟმა განაცხადა:

— მინდა, რომ ჩინეთში მსოფლიო ჩემპიონატის გამართვას მოვესწრო. ამ ქვეყანაში ფეხბურთი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და გუნდების ოსტატობაც სისტემატურად იზრდება.

### სამ წელიწადში — 7 მწვრთნელი

როგორც უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნულია წარსულში გამოჩენილი ოსტატი კალმან მესეი. იგი 1980–1983 წლებში უკვე მუშაობდა ამ თანამდებობაზე, მაგრამ რაიმე თვალსაჩინო წარმატება არა ჰქონია.

ახლა მესეიმ ბერტალ ბიჩკეი შეცვალა, რომლის ხელმძღვანელობით უნგრეთის ნაკრები ულიმღამოდ გამოიყურებოდა. საყურადღებოა, რომ 1986 წლიდან მოყოლებული უნგრეთის ნაკრებში უკვე მეშვიდედ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი.

### რ. გულიტის მესამე ოპერაცია

ჰოლანდიის ნაკრები წამყვანი მოთამაშის, ცნობილი ფეხბურთელის რუუდ გულიტის მონაწილეობა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში კვლავ გაურკვეველია. მან მუხლის მესამე ოპერაცია გადაიტანა და ექიმების აზრით მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ შეძლებს საწვრთნელად გამოსვლას.

პირველი ოპერაცია რ. გულიტმა გაიკეთა აპრილში, მეორე — ივლისში და მესამე — ახლა.

### მოგება — 100 მილიონი დოლარი

როგორც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ორგანიზატორებს დაახლოებით 100 მილიონი დოლარი მოგება დარჩებათ. აქ შევა ტელეკომპანიებიდან მიღებული თანხა, ბილეთების ფასი, სხვადასხვა ნივთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი და სპონსორებისგან მიღებული ფული. ამ თანხას ფიფა ჩემპიონატის მონაწილე 24 გუნდს გაუნაწილებს.

### ბრაზილიელი სნაიპერი

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს ახალგაზრდა თავდამსხმელ რომარიოზე, რომელიც ახლა ჰოლანდიის „პსვ ეინდჰოვენში" თამაშობს, როგორც ჰოლანდიელი სტატისტიკოსები იუწყებიან, რომარიომ „ეინდჰოვენის" შემადგენლობაში ჩატარებულ 50 მატჩში გაიტანა 51(!) გოლი. რაც შეეხება ჰოლანდიის 1989–1990 წლების ჩემპიონატს, აქ რომარიო 17 გატანილი ბურთის ავტორია და სნაიპერთა შორის პირველ ადგილზე იმყოფება.

### იაპონელთა განცხადება

როგორც იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მისი ქვეყანა 2002 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობის პრეტენდენტი იქნება და ამის შესახებ ფიფა-ს სპეციალურ მიმართვას გაუგზავნის.

### მწვრთნელების სემინარი ციურიხში

როგორც ფიფა-ს სამდივნო იუწყება, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ციურიხში გაიმართება ფინალის მონაწილე ყველა გუნდის მთავარ მწვრთნელთა ორდღიანი სემინარი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთელთა კორექტულობის, ყოველგვარი უხეშობის აღკვეთის საკითხებს.

# ახალი მისამართები

**მოსკოვის** „ტორპედოს" შემადგენლობაში ალმა-ათის „ქაირათიდან" მოიწვიეს მეკარე ს. ჩეკმეზოვი და მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი ა. კალაიჩევი. უცხოეთში სამუშაოდ გამგზავრება სურს მწვრთნელს ვ. იურინს, მის ნაცვლად ტორპედოელებთან იმუშავებს ამ გუნდის ყოფილი ფეხბურთელი ი. შირინოვი.



### მსაჯები იმუქრებიან

**როგორც** ბტა-ს სააგენტო სოფიიდან იუწყება, ბულგარეთის ფეხბურთის არბიტრებმა გადაწყვიტეს ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტონ თავიანთი ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციასთან. ამ ნაბიჯის მიზანი ის არის, რომ მსაჯებმა მიიღონ დამოუკიდებელი სტატუსი და თავიანთი ბიუჯეტი, ამასთან, გამორიცხონ გარედან ჩარევა არბიტრების საქმიანობაში. გარდა ამისა, არბიტრებმა განაცხადეს, რომ დაუყოვნებლივ დაიწყებენ გაფიცვას 31 მარტამდე, თუ ბულგარეთის ტელევიზია არ შემოიღებს რეგულარულ პროგრამას ასეთი რუბრიკით „მსაჯობა განვლილი კვირის მანძილზე".

**ურუგვაის** ნაკრების 23 წლის თავდამსხმელი რუბენ სოსა დიდი პოპულარობით სარგებლობს საერთაშორისო ასპარეზზე. რ. სოსა ამჟამად რომის „ლაციოში" გამოდის, სადაც ესპანეთის „სარაგოსადან" გადავიდა. იტყობინებიან, რომ ამ ფეხბურთელის გადაბირება სურთ მადრიდის „რეალს", იტალიის „იუვენტუსსა" და „ნეაპოლს".

**დასავლეთ** გერმანიის საფეხბურთო კავშირმა უკვე შეარჩია თავისი ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისისა და თვით შეჯიბრების დღეებში საცხოვრებელი ბინა. გფრ-ის ნაკრები 4 ივნისიდან შეიკრიბება სამხრეთ ტიროლის ქალაქ კალტერნას ბაზაზე, 10 ივნისს გადაინაცვლებს „ვილა კუარანტაზე", რომელიც ვერონის მახლობლად მდებარეობს. გფრ-ის ნაკრებს 28 თებერვლისთვის დაგეგმილი აქვს საერთაშორისო მატჩი საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან.







# ვინ იცის...

**ჩვენში** იშვიათად მოიძებნება სკოლა, რომელიც ასე ამართლებდეს თავის სახელს. დიახ, „მართვეზე" მოგახსენებთ, კალათბურთელთა სკოლაზე, რომლის მადლი უკვე ატყვია ჩვენს დიდ სპორტს: აქ დაფრთიანებული სპორტსმენები დღეს წარმატებით იცავენ რესპუბლიკის პირველი გუნდის — თბილისის „დინამოს" ღირსებას. მაგრამ „მართვე" მარტო მოთამაშეთა კადრების მომზადებაზე როდი ზრუნავს. რა დასამალია. დღეს ქართული სპორტი, კერძოდ, კალათბურთი, სპეციალისტთა მწვავე დეფიციტს განიცდის. წავიდნენ კეკელიძეები, თორთლაძეები, გეგელაშვილები და ბაბახანიდები, ჩვენი მოზარდი თაობის გულისხმიერი აღმზრდელები. სწორედ აქედან იღებს სათავეს ის კრიზისიც, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით.

— ეს ასე არ უნდა მომხდარიყო, თქვა „მართვეს" უფროსმა მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა. სამწუხაროდ, ახალგაზრდა სპეციალისტებს აკლიათ ის ჟინი, რითაც ძველი თაობა გამოირჩეოდა. აი, თერთმეტი წელია არსებობს ჩვენს სკოლასთან კალათბურთის სპეციალური კლასები და არც ერთი ახალგაზრდა სპეციალისტი არ მოსულა სამუშაოდ (ლაპარაკია 58-ე სკოლაზე და არა „მართვეზე" საერთოდ). ამიტომ გადავწყვიტეთ ამ პრობლემისთვისაც ჩვენივე ძალებით მიგვეხედა და დაგვედგა თავი.

...ჯერ კიდევ გუშინ ეს ყმაწვილები ამ პატარა შეგირდების „ქურქში" იყვნენ და მათსავით თავდავიწყებით დასდევდნენ ბურთს, დღეს კი უმცროსების აღზრდას მოჰკიდეს ხელი, კალათბურთის ანბანს ასწავლიან მათ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, 20 წლის ალეკო ქილიტაური, თბილისის 58-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელი მოსწავლეები პაატა ნადირაშვილი და კოტე რამაზაშვილი, უფროსი მწვრთნელების ასისტენტები არიან. შარშან მოსკოვში გამართულ საკავშირო ფესტივალზე მინიკალათბურთში ალეკო ქილიტაურის გუნდმა საპატიო მეორე ადგილიც დაიკავა.

რა თქმა უნდა, დღეს ძნელია გადაჭრით იმის მტკიცება, რომ სამივესაგან დიდი მწვრთნელი დადგება. მაგრამ ერთი რამ ცხადია: მათ თავდავიწყებით უყვართ კალათბურთი და პატარებს ეს დიდი სიყვარულიც რომ ჩაუნერგონ, თამამად შეიძლება ითქვას, დასაწყისი კარგი იქნება, კარგი დასაწყისი და სიყვარული კი საქმის ნახევარია. ასე რომ, ვინ იცის...

რაც შეეხება მონაცემებს, შეიძლება ითქვას, რომ მათთვის, განსაკუთრებით კი პ. ნადირაშვილისა და ვ. რამაზაშვილისთვის, ბურთთან ურთიერთობის მხრივ საიდუმლოება არ არსებობს. ასე რომ, პატარებს ბევრი რამ შეუძლიათ მათგან ისწავლონ და კიდევ, ზემოთ გამოჩენილ სპეციალისტთა გულისხმიერება ვახსენეთ. ახალგაზრდა მწვრთნელებს არც ეს თვისება აკლიათ, ანდამატივით რომ იზიდავს ნორჩებს...

**უშანგი ჭიჭინაძე.**

• • •

**სურათებზე:** წვრთნის მომენტები; შუა ფოტოზე — მეცადინეობა მწვრთნელების (მარცხნიდან) პ. ნადირაშვილის, ა. ქილიტაურისა და კ. რამაზაშვილის დორიგებით იწყება.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**

# უჩივლეს ფინანსთა სამინისტროს

„**კეპიტალ სიტიზ**"-ის კორპორაციამ, რომელიც ეი-ბი-სის ტელეკომპანიის მფლობელად ითვლება, ნიუიორკის საოლქო სასამართლოში უჩივლა აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს და მის წინაშე აღძრა სარჩელი. კორპორაცია მთავრობის ამ დაწესებულებას ბრალს სდებს იმაში, რომ ეს უკანასკნელი ხელს უშლის ამერიკის ტელევიზიას პანამერიკული თამაშების პირდაპირ ტრანსლაციაში (შეჯიბრება, როგორც ცნობილია, მოეწყობა 1991 წლის აგვისტოს ჰავანაში).

დასავლეთ ნახევარსფეროს ამ ყველაზე პოპულარული შეჯიბრების ტრანსლაციის უფლებაზე შეთანხმებას ტელეკომპანიამ წლევანდელი წლის დასაწყისში მიაღწია. მაგრამ ჰავანიდან პირდაპირ გადაცემებს აშშ-ში თურმე ფინანსთა სამინისტროს სპეციალური ნებართვა სჭირდება. ვინაიდან ჯერ კიდევ მოქმედებს ვაშინგტონის ადმინისტრაციის სავაჭრო-ეკონომიკური სანქციები კუბის მიმართ, ფინანსთა სამინისტრომ ასეთი დასტური არ მისცა ტელეკომპანიას და თავისი მოსაზრება „აშშ-ს პოლიტიკისადმი ერთგულების" მოტივით დაასაბუთა.

მაგრამ ეი-ბი-სის პოლიტიკაზე უფრო მეტად საქმის ფინანსური მხარე აინტერესებს, პანამერიკული თამაშები კი მას საკმაოდ დიდ მოგებას ჰპირდება. ამიტომ უჩივლა მან ფინანსთა სამინისტროს. პროცესი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაიმართება.



# „ჭადრაკი — სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაცრი სახეობაა"

## გარი კასპაროვის ინტერვიუ ჟურნალ „პლეიბოის"

**ყველამ** იცის, რომ ულაზიეროდ ჭადრაკის პარტიას ვერ მოიგებ. მაგრამ მაშინ ძალიან გავბრაზდი, როცა ლაზიერმა მთელ დაფაზე დევნა დამიწყო. მას წინასწარ ფორად ლაზიერი მივეცი, მაგრამ მაინც გამარჯვება მინდოდა. ჭადრაკში თუკი აგებთ იღუპებით კიდეც.

● **ამერიკელივით მსჯელობთ. მათ ყოველთვის პირველობა სურთ.**

— ეს, საერთოდ, ყველას ახასიათებს.

● **ბევრ ამერიკელს იცნობთ?**

— არა, საკმაოდ ცოტას. იშვიათად ვარ ამერიკაში, თანაც სერიოზულ საჭადრაკო ტურნირებში იქ არ მითამაშია. დროის დიდ ნაწილს ევროპაში ვატარებ, ამიტომ ჩემი ურთიერთობა ამერიკელებთან ისე მჭიდრო როდია.

● **ხომ არ აპირებთ თუ არა ამერიკაში უფრო ხშირად ითამაშოთ, ამ ქვეყანაში მეტი პროპაგანდა გაუწიოთ ჭადრაკს?**

— დიახ, რა თქმა უნდა, ეს ჩემი ოცნება გახლავთ. ძალიან მნიშვნელოვანია ჭადრაკის დაწინაურება პოტენციურად ყველაზე უფრო დიდ ბაზარზე, სხვა სიტყვებით, იმ საქმის გაგრძელება, რომელიც ბობი ფიშერმა შუა გზაზე მიატოვა.

● **თქვენ ჭადრაკის თამაშის დროს განიცდით სიამოვნებას?**

— დიახ, რა თქმა უნდა. ეს ჩემი პიროვნების გამოხატვის საუკეთესო ფორმა გახლავთ. ბედნიერი ვარ, როცა ახალ იდეებს ვქმნი, ენერგიას რაღაც უკვდავისკენ მივმართავ. უდიდეს ნეტარებას განვიცდი, როცა კომბინაციაში უჩვეულო სვლას მივაგნებ, როცა შედევრებს ვქმნი.

● **დაფაზე დაუხედავად თუ გითამაშიათ?**

— დიახ, ერთხელ დაფაზე დაუხედავად ერთდროული თამაშის სეანსი გავმართე გფრ-ის 10 მოჭადრაკის წინააღმდეგ და გავიმარჯვე ანგარიშით 9:1. 8 პარტია მოვიგე, 2 ყაიმით დავამთავრე. მაგრამ ეს თამაში ჩემთვის ძალიან ძნელი და არასასიამოვნო იყო. მთელი ჩემი შესაძლებლობები უნდა გამომეყენებინა, მაგრამ პოზიციებს ვეღარ ვხედავდი, მხოლოდ ძირითადი კონტურები მახსოვდა. ორი შეცდომა მომივიდა და ფიგურაც წავაგე. შევძელი ყაიმისათვის მიმეღწია, მაგრამ რაიმე სიამოვნება არ განმიცდია. მგონი გითხარით, რომ ჩემი მეხსიერება მაგნიტოფონის ლენტს ჰგავს, იმ სეანსის დროს თითქოს ლენტი წაშალესო, იგი გაქრა. მას შემდეგ აღარა მაქვს დაფაზე დაუხედავად თამაშის სურვილი.

● **საჭადრაკო ჩემპიონატებში მონაწილეობა დიდ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვასთანაა დაკავშირებული.**

— სავსებით მართალი ბრძანდებით. სერიოზული შეჯიბრების დროს, თუკი თქვენ მთელ ენერგიას ხარჯავთ და ფსიქოლოგიური პრობლემებიც შეგექმნებათ, შეიძლება გაგანადგურონ. მსოფლიო პირველობაზე მატჩის წინ ფიზიკურად ისევე საგანგებოდ უნდა მოვემზადო, როგორც თვით საჭადრაკო თვალსაზრისით. ასეთი მომზადებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რბენასა და ცურვას, რასაც ყოველდღიურად ორ ან სამ საათს ვუთმობ. ვთამაშობ აგრეთვე ფეხბურთს და ხანდახან ჩოგბურთსაც, მაგრამ უმთავრესად ზღვა და მზე მეხმარება.

● **ანატოლი კარპოვთან მსოფლიო პირველობაზე პირველი მატჩის დროიდან მოყოლებული საბჭოთა ჭადრაკის ხელმძღვანელებთან „ხამარ მდგომარეობაში" აღმოჩნდით. როგორ დაიწყო ეს ამბავი?**

— ყველაფერი ჯერ კიდევ პირველი მატჩის წინ დაიწყო. მას შემდეგ, რაც დიდოსტატი გავხდი, საბჭოთა ჭადრაკის ხელმძღვანელები მიხვდნენ, რომ მუქარას შევუქმნიდი მათ გმირს — კარპოვს. მას მერე ისინი ცდილობენ კონტროლი გაეწიათ ჩემი თამაშისათვის იმ ტურნირებში, მსოფლიო ჩემპიონატთან რომ იყო დაკავშირებული. ბევრი გაუგებრობა მოხდა, ბევრი შეხლა-შემოხლა. აპარატი იცავდა კარპოვს, ამისათვის ნებისმიერ ჭუჭყიან ხერხს მიმართავდა. საჭირო იყო ჩემთვის ხელის შეშლა, რათა კარპოვისათვის მსოფლიო ჩემპიონის წოდება არ წაერთმია. კარპოვი სისტემის ძალას განასახიერებდა. მე კი ამ კარგ რუს ახალგაზრდას ვემუქრებოდი. მათ არც ჩემი ხასიათი მოსწონდათ. ჩემი ბუნება მათთვის უცხო იყო. მე არ ვიზიარებდი თამაშის წესებს, ამ სისტემამ რომ შეიმუშავა. ჯერ კიდევ 1981 წელს ისინი შეეცადნენ არ დავეშვი სერიოზულ ტურნირებში. 1983 წელს ნება არ დამრთეს პასადენაში გავმგზავრებულიყავი, სადაც ვიქტორ კორჩნოის შესარჩევ მატჩში უნდა შევხვედროდი. პრობლემები, პრობლემები, პრობლემები. დაწოლა, დაწოლა, დაწოლა და, ამის მიუხედავად, მაინც ყველა მატჩი მოვიგე და, საბოლოოდ 1984 წლის შემოდგომაზე მსოფლიო პირველობის მატჩში ანატოლი კარპოვს უნდა შევხვედროდი.

● **თქვენთვის ეს მატჩი კატასტროფულად დაიწყო.**

— დიახ, ასე იყო. ვფიქრობდი, მსოფლიო ჩემპიონი გავხდებოდი, როცა კარპოვს ისევე დავამარცხებდი, როგორც მანამდე ყველა დანარჩენ მოჭადრაკეს ვძლიე. მაგრამ კარპოვი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. ფიცხლად ვუტევდი, იგი კი ცივად, როგორც ყინულის ნატეხი, იცავდა თავს. უკვე ცხრა პარტიის შემდეგ ვაგებდი ანგარიშით 0:4. კარპოვს მატჩში გასამარჯვებლად ორი პარტიის მოგებაღა სჭირდებოდა. ცხადი იყო, მას მარტო გამარჯვების მოპოვება როდი სურდა, არამედ მაინცდამაინც ანგარიშით 6:0 მოგება — ჩემი განადგურება. მაშინ შევწყვიტე იერიში და მისსავე დაცვით ტაქტიკას მივმართე. დავიწყე ყაიმებით კარპოვის გამოფიტვა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხანგრძლივი მატჩი მსოფლიო პირველობაზე — ხუთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. შემდეგ წავაგე 27-ე პარტია. ანგარიში გახდა 5:0 და ამ მომენტში კარპოვი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ მატჩს 6:0-ზე მოიგებდა.

● **საჭადრაკო მიმომხილველმა რაიმონდ კინმა თქვენს მოქმედებას ამ სიტუაციაში უწოდა „ყველაზე შთამბეჭდავი მოქმედება ყველა სპორტსმენის მიერ დაცვის განხორციელებისას, საერთოდ, სპორტის ყველა სახეობაში მთელი ისტორიის მანძილზე".**

— დიახ, ასეც იყო. ანგარიში იყო 5:0. კატასტროფისაგან სულ ერთი ქულა მაშორებდა. კიდევ 4 პარტია დავამთავრე ყაიმით, შემდეგ 32-ე პარტია მოვიგე და ხელთ ვიგდე ინიციატივა. ამას კვლავ ყაიმები მოჰყვა, შემდეგ კი 47-ე და 48-ე პარტიები მოვიგე და... მოულოდნელად შეწყვიტეს მატჩი. ფლორენსიო კამპომანესი, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი, კარპოვის დიდი მეგობარი, მოსკოვში ჩამოვიდა და ორთაბრძოლაც შუა თამაშში შეჩერდა. ამის წარმოდგენაც კი ძნელი იყო. კარპოვმა ზედიზედ ორი პარტია წააგო. მას თამაში უკვე აღარ შეეძლო, მე კი სულ უფრო ენერგიულად ვმოქმედებდი. ისინიც ადგნენ და შეწყვიტეს მატჩი! ხანდაზმული ადამიანები, ამ ფარსში რომ მონაწილეობდნენ, კარპოვის მეგობრები და მომხრეები იყვნენ. მათ გამოიყენეს საბჭოთა ჭადრაკის ხელმძღვანელების, სპორტის მესვეურებისა და პარტიის მთელი პოლიტიკური ძალა. ამაზე — ყველაზე დიდ დანაშაულზე ჭადრაკის ისტორიაში — ისინი არიან პასუხისმგებელნი. მათ, უბრალოდ, არ უნდოდათ ჩემთვის გამარჯვების შანსი მოეცათ. ასეთ რისკზე ისინი ვერ წავიდოდნენ. ამიტომაც შეწყვიტეს მატჩი და დანიშნეს ახალი ორთაბრძოლა 7 თვის შემდეგ, როცა მათი კარპოვი დასვენებული იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ამისი იმედი ჰქონდათ.

● **მაგრამ ისე არ მოხდა, როგორც ისინი ელოდნენ.**

— დიახ, მე იგი დავამარცხე და მსოფლიო ჩემპიონი გავხდი.

● **რა იგრძენით მაშინ, როგორი იყო თქვენი რეაქცია?**

— სცენაზე, სადაც ვთამაშობდით, შევძელი სიმშვიდის შენარჩუნება. მაგრამ როდესაც ჩემს შტაბბინაში დავბრუნდი, გრძნობები ვეღარ შევიკავე. ოთახიდან ოთახში დავდიოდი და ტარზანის მსგავსად ვბღაოდი. თუმცა, მას შემდეგ კარპოვს სამჯერ შევხვდი და ყველა მატჩი მოვიგე.

● **დიახ, არც ერთი მატჩი არ წაგიგიათ. უკანასკნელი მატჩი სევილიაში ორი წლის წინათ, მართლაც, მეტად საინტერესო რომანს ჰგავდა. იგი დამთავრდა ანგარიშით 12:12 და თქვენ, როგორც მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა, წოდება შეინარჩუნეთ. მაგრამ ბეწვზე ეკიდეთ, ძალზე ახლოს იყავით დამარცხებასთან, თქვენთვის რაღაც ჩვევად გადაიქცა ჯერ ანგარიშში ჩამორჩენით, შემდეგ კი უკანასკნელ მომენტში გამარჯვების მოპოვება, არა?**

— დიახ, ვფიქრობ, ეს ჩემი თვისებაა. მიყვარს მღელვარება, მწვავე ბრძოლის მოთხოვნილება მაქვს.

● **მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, სულ ორი პარტია რჩებოდა, ანგარიში იყო 11:11. გჭირდებოდათ ორი უკანასკნელი პარტიის ყაიმით დამთავრება, რათა წოდება შეგენარჩუნებინათ. მაგრამ თქვენ ხუსტი სვლა გააკეთეთ და 23-ე პარტია წააგეთ. ამიტომ უკანასკნელ პარტიაში მხოლოდ მოგება გშველოდათ. თქვენს წინააღმდეგ კი მსოფლიოში უდიდესი დაცვის ოსტატი თამაშობდა — ყინული ცეცხლის წინააღმდეგ.**

— დიახ, როლები შეიცვალა. ახლა კვლავ მე უნდა დავწეოდი მეტოქეს. ჩემი კარიერის საზსნელად ერთადერთი შანსიღა მრჩებოდა — აუცილებლად მომეგო.

● **ნამდვილად ფიქრობდით, რომ შეგეძლოთ მოგება?**

— ყოველთვის ვამბობდი და ვამბობ — მილიონიდან ერთი შანსიც თუ მაქვს, აუცილებლად გამოვიყენებ. იმ მომენტში ასეთი შესაძლებლობა მილიონიდან არა, მაგრამ, ასე ვთქვათ, ასიდან ერთი მქონდა. ასეთი შეფარდება ბრძოლის დაწყებისათვის სრულიად ნორმალურია. რა თქმა უნდა, მე გეგმის თანახმად ვმოქმედებდი. კარპოვი, ალბათ, ფიქრობდა, რომ თავიდანვე შევუტევდი ისე, როგორც ჩვენს პირველ მატჩში მოხდა. მაგრამ ამჯერად ძალიან მშვიდად და ფრთხილად ვთამაშობდი. პოზიცია თანდათან გართულდა. ერთ მომენტში ვერ შევნიშნე კარგი კომბინაცია, მაგრამ კარპოვი სასტიკ ცაიტნოტში აღმოჩნდა. პოზიცია მძაფრი იყო, მას კი დრო უთავდებოდა. შესვენებისთვის ზედმეტი პაიკი მქონდა. ამ პოზიციას, სეკუნდანტებთან ერთად, რამდენიმე საათის განმავლობაში ვარჩევდი, სადღაც ღამის სამი საათისათვის დავიძინე, ათ საათზე გამომეღვიძა და ანალიზი განვაგრძე. როცა დარბაზში დავბრუნდი, ჩემს ძალებში სავსებით დარწმუნებული ვიყავი.

● **და კარპოვს თვალებში შეხედეთ?**

— დიახ. და მივხვდი, რომ მისი ძალები ამოწურული იყო. თანაც, ყოველთვის, როცა მისთვის აუცილებელია ჩემთან ბოლო პარტიის მოგება, ამას ვერ ახერხებს. მე კი ყოველთვის ვიმარჯვებ.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 1, 2.

# სპორტული ლატარიების მოყვარულთათვის!

„ლელოს" 3 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ მათთვის ვინც „სპორტპროგნოზში" 1990 წლის 1-7 ტირაჟებში გამოიცნობს 13 შედეგს გათამაშდება იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის საგზურები. ფეხბურთისა და სპორტული ლატარიების მოყვარულებს, ალბათ, დააინტერესებთ პირობები, რის საფუძველზეც გათამაშდება ეს საგზურები. ქვემოთ გთავაზობთ ამ პირობებსა და საგზურების გათამაშების წესებს.

1. 1990 წლის იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის საგზურები გათამაშდება ლატარია სპორტპროგნოზის 1-7 ტირაჟიებში იმ ბილეთების ნომრებს შორის, რომლებშიც სწორად არის გამოცნობილი 13 შედეგი. 1-4 ტირაჟებში გათამაშდა თითო საგზური, ხოლო 5-7 ტირაჟებში — 2-2.

2. „სპორტპროგნოზის" მოყვარულები, რომლებიც გამოიცნობენ 13 შედეგს და სურვილს გამოთქვამენ მონაწილეობა მიიღონ საგზურების გათამაშებაში, ვალდებულნი არიან 3 დღის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს ყოველი ოთხშაბათის 17 საათისა, ადგილობრივი დროით, სპორტული ლატარიების ადგილობრივ საწარმოში პირადად ან ტელეფონის საშუალებით წარადგინონ მოგებული ბილეთის სერია და ნომერი, თავისი საპასპორტო მონაცემები, საცხოვრებელი მისამართი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და ტელეფონის ნომერი.

3. ყოველი ტირაჟის საგზურების გათამაშება მოხდება სატირაჟო კომისიების მიერ ცენტრალური ტელევიზიის სტუდიაში „სპორტლოტოს" ტირაჟის გამართვისას.

გათამაშების შედეგებს აჩვენებენ ტელევიზიით ყოველ კვირადღეობით, „სპორტლოტოს" ტირაჟების ტრანსლიაციისას, 1990 წლის 14 იანვრიდან.

4. საგზურების გათამაშება მოხდება შემდეგი წესების მიხედვით:

— სატირაჟო კომისია ამზადებს ქაღალდის ვაზნებს. იქ მოთავსდება ლატარია „სპორტპროგნოზის" ბილეთების სერიები და ნომრები იმ სიის მიხედვით, რომელიც სამმართველოშია შესული;

— გადაცემის წამყვანი ტელემაყურებლებს აუხსნის საგზურების გათამაშების წესს;

— ქაღალდის ვაზნები ჩაიდება სპეციალურ ბარაბანში ნოტარიუსის მიერ;

— კომისიის თავმჯდომარე რამდენჯერმე დაატრიალებს ბარაბანს, შემდეგ იქიდან ამოიღებს ქაღალდის ვაზნას და მისცემს მას გადაცემის წამყვანს, რომელიც გახსნის ვაზნას, დაასახელებს მოგებული ბილეთის სერიასა და ნომერს და აჩვენებს მას ტელემაყურებლებს;

— კომისიის წევრები შეადარებენ ვაზნაში ჩაწერილ ნომერს სიასთან და შეიტანენ მას უწყისებში, რომლებსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მდივანი;

— 5-7 ტირაჟებში სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე ხელმეორედ დაატრიალებს ბარაბანს, ხოლო კომისიის წევრი — ნოტარიუსი ამოიღებს მეორე ვაზნას. შემდგომ გამეორდება იგივე პროცედურა, როგორც პირველი ვაზნის ამოღებისას.

5. მეშვიდე ტირაჟში ორი ძირითადი საგზურის გარდა იმ ბილეთებს შორის, რომელთაც გამოიცნეს 13 შედეგი, ამ ტირაჟში დამატებით გათამაშდება 4 სარეზერვო კანდიდატის საგზური. ეს გაკეთდება იმისათვის, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საგზურების მფლობელები უარს განაცხადებენ მოგზაურობაზე სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ ადგილს დაიკავებენ კანდიდატები.

კანდიდატების განსაზღვრისას გათამაშება ხდება ისეთივე წესით, როგორც ეს მეოთხე პუნქტშია მოცემული და იმ პირობით, რომ ბარაბნიდან ყოველ ვაზნას ამოიღებს კომისიის სხვადასხვა წევრი.

6. თუ „სპორტპროგნოზის" რომელიმე ტირაჟში ვერავინ გამოიცნობს 13-ვე შედეგს, საგზური გათამაშდება შემდგომ ტირაჟში.

7. საგზური ფორმდება მხოლოდ მის მფლობელზე. საგზურის ღირებულებას იხდის „სოიუზსპორტლოტოს" გაერთიანება სარეზერვო მოსაგები ფონდის ანგარიშიდან. საგზურების ფულადი კომპენსირება არ გაიცემა.

8. საგზურების მფლობელებზე და კანდიდატებზე ჩემპიონატზე წასასვლელი საბუთების გაფორმება მოხდება სსრ კავშირის სპორტსახკომისა და „სოიუზსპორტლოტოს" გაერთიანების წარდგინების საფუძველზე ადგილობრივი რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საქალაქო, მოსკოვისა და ლენინგრადის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების მიერ.

9. ჩემპიონატზე წასასვლელი საგზურის მფლობელის ყველა ხარჯები: მგზავრობა საცხოვრებელი ადგილიდან მოსკოვში და უკან, ფულის გადაცვლა ვალუტისთვის მოხდება მის პირად ანგარიშზე. გაცდენილი სასამსახურო დღეების ხელფასს „სოიუზსპორტლოტო" არ შეგინახავთ.

ტურისტული მოგზაურობის ხანგრძლივობაა 16 დღე — 1990 წლის 7-დან 22 ივნისის ჩათვლით.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**1990 წლის 8-9-10 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში, რუსთაველის საზოგადოების შემოქმედებითი გაერთიანება „ვაზი" გთავაზობთ საახალწლო კონცერტს.**

მონაწილეობენ: მ. სეფაშვილი, ნ. ერგემლიძე, ზ. მანაგაძე, ბ. მახარაძე, ი. მენთეშაშვილი, ბ. კალანდაძე, ე. კვალიაშვილი, გ. ლორია, ზ. ვადაჭკორია, ზ. კობეშავიძე.

პროგრამა მიჰყავს: მურმან ჯინორიას.

ბილეთები გაიყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

დასაწყისი 20 საათზე.

ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია, ცხენის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოება და ზუგდიდის რაიონის სპორტული საზოგადოებრიობა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოში ცხენოსნობის ეროვნული სახეობების ცნობილი ენთუზიასტი, ვეტერანი სპორტსმენი, ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში საქართველოს სსრ სპორტის ოსტატი, ზუგდიდის საცხენოსნო სპორტული კლუბის ყოფილი უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი

**ემელიანე კონსტანტინეს ძე ნაჭყებია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-56, „მერანი" — 93-97-26, „მარიჯი" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე: ხოშარაულის, 39.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08701.